



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 18 აპრილი

დისციპლინური საქმე №37/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- და --- 2022 წლის 17 მარტის №37 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 18 მარტის №164/37-03 წერილებით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1 მოსამართლემ უკანონოდ და უსაფუძვლოდ უთხრა უარი მხარეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ კანონით დადგენილ ვადაში არ იმსჯელა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და 1 დღეში გადასაწყვეტ საკითხზე 4 დღის შემდეგ იმსჯელა. ამასთან, მოსამართლემ ძველი თარიღით გააფორმა განჩინებები.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2022 წლის 28 თებერვალს, --- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს --- და --- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „---“, --- და --- მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2016 წლის 11 აგვისტოს №16 კრების ოქმის ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც --- სასარგებლოდ განიკარგა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული საპირფარეშო. ასევე, --- და --- შორის 2016 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და --- არაკეთილსინდისიერ მყიდველად აღიარება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელებმა მოითხოვეს სადავო ფართის თანამესაკუთრედ ცნობა.

--- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე --- 2022 წლის 1 მარტის განჩინებით --- და --- უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა 2022 წლის 9 მარტს.

--- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განჩინებით --- და --- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 ქვეპუნქტში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს,“ თუ იგი წარდგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული პირობების დარღვევით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ

მითითებულ გარემოებებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2022 წლის 1 მარტის განჩინებით -- -- და -- -- უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელს არ ერთვოდა მოსარჩელის მიერ სავალდებულოდ წარსადგენი მტკიცებულება - ინფორმაცია შესაბამისი გამგეობიდან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის შესახებ.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

1. -- -- და -- -- 2022 წლის 17 მარტის №37 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №37/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი